საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 152-03
04/02/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის N7 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მეოთხე მუხლის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 იანვრის N1.1/1 ბრძანების საფუძველზე, სამართლის სკოლის დეკანის 2022 წლის 27 იანვრის N735-35 სამსახურებრივი ბარათის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 28 იანვრის N794-35 სამსახურებრივი ბარათის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 31 იანვრის N836-35 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 1 თებერვლის N881-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. სტუდენტების ელექტრონული რეგისტრაციის ვადად, რომლებმაც მოიპოვეს მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, განისაზღვროს 2022 წლის 11 თებერვალი 24:00 საათამდე, შემდეგ ელ. მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - mobility.arts_sciences@iliauni.edu.ge;

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - application_se@iliauni.edu.ge.

გ) სამართლის სკოლა - mobiloba.law@iliauni.edu.ge);

დ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - mobility.bte@iliauni.edu.ge

2. რეგისტრაციისთვის სტუდენტებმა განცხადებით უნდა მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს (განცხადების ფორმა განთავსებულ იქნება უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე). განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმ ფაკულტეტის/სკოლის დასახელება, რომელზეც სტუდენტმა მოიპოვა მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება და იმ პროგრამის სახელწოდება/მიმართულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელზეც სურს ჩარიცხვა. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა)ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;

ბ)სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი)(განმეორებითი მობილობის შემთხვევაში - ყველა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელშიც სტუდენტს უსწავლია);

გ)ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 2022 წლის 1 თებერვლის შემდეგ (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო პროგრამის დასახელების, და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);

დ) სტუდენტის მიმართ გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტი/ამონაწერი დამოწმებული უნივერსიტეტის ბეჭდით (განმეორებითი მობილობის შემთხვევაში - ყველა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელშიც სტუდენტს უსწავლია);

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ვ)პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ორივე გვერდი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ზ)სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

თ)ფოტოსურათი ზომით 3X4;

ი) სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში ცნობა გაცემული შესაბამისი ორგანოდან.

3. მე-2 პუნქტით განსაზღვრული განაცხადი და წარმოსადგენი დოკუმენტაცია გადმოგზავნილ უნდა იქნას ერთ მეილად PDF ფორმატში;
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით;
5. ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პირი, რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას, უნდა გამოცხადდეს უნივერსიტეტში ფაკულტეტის/სკოლის მიერ დადგენილ ვადასა და აუდიტორიაში. ხელშეკრულების გაფორმების დროს უნდა წარმოადგინოს ელექტრონული რეგისტრაციისას გადმოგზავნილი მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია სრულად და დამატებით 2 ფოტოსურათი ზომით 3X4 და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD);
6. იმ შემთხვევაში თუ პირი რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ დადასტურებული კოვიდ ინფექციის გამო ვერ გამოცხადდება დასკვნის გაცნობისა და ხელშეკრულების ხელმოწერისათვის, ვალდებულია მეორე პუნქტში მითითებულ ელ. ფოსტაზე გამოაგზავნოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა;
7. იმ შემთხვევაში, თუ საბუთების წარმოადგენისა და ხელშეკრულების გაფორმების მიზნით უნივერსიტეტში გამოცხადდება მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
8. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) 2020-2021 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ მობილობის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია. 2020-2021 სასწავლო წელს და შემდგომში ჩარიცხულ მობილობის მსურველს კი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამოცდები.
ბ)იმ პირებმა, რომლებიც ჩარიცხული არიან საბაკალავრო საფეხურზე 2020-2021 სასწავლო წლამდე, უნდა წარმოადგინონ ცნობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებით ჩაბარებული მეოთხე გამოცდის თაობაზე შემდეგ საგნებიდან ერთ-ერთში: ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, გეოგრაფია, ქიმია.
9. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირები უნდა აკმაყოფილებდნენ ქვემოთ მითითებულ პროგრამის

წინაპირობებს და სავალდებულოა სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან ქვემოთ მითითებული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ;

ა)მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) – 2020-2021 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ მობილობის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია. 2020-2021 სასწავლო წელს და შემდგომში ჩარიცხულ მობილობის მსურველს კი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამოცდები.

ბ)კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) - 2020-2021 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ მობილობის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია. 2020-2021 სასწავლო წელს და შემდგომში ჩარიცხულ მობილობის მსურველს კი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამოცდები და გადალახული ჰქონდეს კომპეტენციის მითითებული ზღვრები შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა - 30%, მათემატიკა ან ფიზიკა - 30%.

გ) სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)(ინგლისურენოვანი) - პროგრამაზე მობილობის მსურველს გადალახული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის მითითებული ზღვრები შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა - 70%, მათემატიკა ან ფიზიკა - 40%;

დ) კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი) - პროგრამაზე მობილობის მსურველს გადალახული ჰქონდეს კომპეტენციის მითითებული ზღვრები შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა - 70%, მათემატიკა ან ფიზიკა - 40%

10. იმ პირებისთვის, ვინც ვერ აკმაყოფილებს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების საბაკალავრო პროგრამაზე - სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)(ინგლისურენოვანი) დაშვების წინაპირობას ინგლისურ ენაში, გამოცდა ჩატარდება 2022 წლის 13 თებერვალს;

11. მე-10 პუნქტით განსაზღვრული გამოცდის სააპელაციო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 14 თებერვალი (24:00 საათამდე) განაცხადი უნდა გადმოიგზავნოს შემდეგ ელ.მისამართზე mobility.bte@iliauni.edu.ge.

12. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას, უზრუნველყონ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის კრედიტების აღიარების დოკუმენტების მომზადება მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსებისა და სასურველი საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.

13. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას, უზრუნველყონ კრედიტების აღიარების დოკუმენტების გაცნობა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტებისათვის და აღნიშნული სტუდენტების მიერ ამ დოკუმენტების ხელმოწერით დადასტურება.

14. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას, არაუგვიანეს 2022 წლის 16 თებერვლის ჩათვლით გააფორმონ ხელშეკრულებები 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებთან, რომლებიც მოიპოვებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლებას და თანხმობას განაცხადებენ კრედიტების აღიარების დოკუმენტებში მითითებულ პირობებზე;

15. ხელშეკრულების გაფორმებისათვის სტუდენტები სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გამოცხადდენ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

16. დაევალოთ ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფაკულტეტებს/სკოლას, 2022 წლის 17 თებერვალს მიაწოდონ უნივერსიტეტის რექტორს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთა სია, რომლებმაც გააფორმეს ხელშეკრულებები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მიზნით;

17. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში პროექტის

ელექტრონულად ასახვის მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება არაუგვიანეს 2022 წლის 18 თებერვლისა;

18. ბრძანების პროექტზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება - 2022 წლის 1 მარტამდე.

19. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყონ მობილობის პროცესის დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელება, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტთა დაშვება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

20. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის რეესტრის მონაცემთა ბაზაში ასახვა ამ აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

21. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას, მიაწოდონ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განცხადების ფორმა უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსების მიზნით;

22. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას უზრუნველყონ მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა კრედიტების აღიარების დოკუმენტების მიწოდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის 2022 წლის 1 მარტამდე;

23. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს უზრუნველყოს მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა კრედიტების აღიარების დოკუმენტების ასახვა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“;

24. ამ ბრძანების შესრულებაზე ფაკულტეტების/სკოლების ნაწილში პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შესაბამისი ფაკულტეტების/სკოლების დეკანები;

25. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;

26. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

27. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი